ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 23

ქ. თეთრიწყარო 19 მარტი 2018 წ.

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის გიორგი ქორიძეს სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 მარტის N792 განკარგულების (SMP180000671) საფუძველზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი"-ს ჩატარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში და მასში მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობის მომსახურების /CPV-79900000/ შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2018 წლის 19 მარტს, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;

2.4.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის" პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.

2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი" თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ღონისძიების დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახარო დოკუმენტაციის საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 მაისამდე.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
5.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მისამართი: თამარ მეფის ქ. N34,
ქ. თეთრიწყარო
ს/კ 230869254
ს/კოდი:230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი
შპს „ეტალონი-მედია“
თბილისი, წერეთლის გამზირი №116, დიდუბე პლაზა, ოფისი №203
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

მუნიციპალიტეტის მერი

/გ.ქორიძე/

დირექტორი

/მ.ღოღობერიძე/

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080166976896718

 # 792 **14 / მარტი / 2018 წ.**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 9 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის SMP180000671 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატი „ეტალონის“ ღონისძიების ჩატარების მომსახურება (CPV - 79900000 სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, კონკურსი „ეტალონის“ ჩატარება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას, შესაბამისად, სწავლის მიმართ მოტივაციის ხარისხის ზრდას, ერთმანეთში ინტეგრაციას (დაახლოება, კომუნიკაცია) და ა.შ.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედიაპროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას“. შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს აღნიშნული მომსახურების გაწევას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედიაპროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას“. შესაბამისად, არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს აღნიშნული მომსახურების გაწევას.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე პირის/ ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის SMP180000671 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე